# წარმატებას ვუსურვებთ ქართველ ფეხბურთელებსა და მორაგბეებს!

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

**№ 79**
(11 638)

11 - 14 ოქტომბერი, 2002 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## რაფაელ ჩიმიშკიანის მადლობა

ნება მიბოძეთ, საქართველოს სპორტსმენთა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის 50 წლისთავის ღონისძიებათა საზეიმოდ აღნიშვნისა და ვეტერან ოლიმპიელთა ღვაწლის ესოდენ მაღალი შეფასებისა და დაფასებისათვის მადლობა გადავუხადო ბატონებს — საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ირაკლი მეძმარიაშვილს, სეოკის პრეზიდენტს ჯანსუღ ბაგრატიონს, სეოკის გენერალურ მდივანს ემზარ ზენაიშვილს, სეოკის ვიცე-პრეზიდენტს, ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტს ბადრი პატარკაციშვილს.

რაფაელ ჩიმიშკიანი,
ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში. ჰელსინკი, 1952 წ.

### დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 1 ოქტომბერი ქ. თბილისი

### ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთა და პრიზიორთა საქართველოს ორდენებით დაჯილდოების შესახებ

ოლიმპიურ თამაშებზე მაღალი სპორტული შედეგების მიღწევისას გამოვლენილი მამაცობისა და თავდადებისათვის, ოლიმპიზმის იდეების პოპულარიზაციასა და ქართული სპორტის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის საქართველოს ორდენებით დაჯილდოვდნენ ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრები:

ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით:

**რაფაელ ჩიმიშკიანი** — საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი ძალოსნობაში; **დავით ციმაკურიძე** — სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში; **მედეა (მზია) ჯუღელი** — საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ოლიმპიური ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში.

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით:

**ნადეჟდა დვალიშვილი-ხნიკინა** — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური თამაშების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი და მსოფლიოს რეკორდსმენი მძლეოსნობაში; **ოთარ ქორქია** — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი კალათბურთში; **ნოდარ ჯორჯიკია** — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი კალათბურთში.

ედუარდ შევარდნაძე

იხ. მე-2 გვ.

## „შევრონი რალი საქართველო 2002“

საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული ავტორალი ჩვენში დიდ ინტერესს იწვევდა და ახლა, როცა მსოფლიოში რალის ბუმია, საქართველოშიც იმართება რბოლები. კერძოდ, 18-20 ოქტომბერს ჩატარდება საერთაშორისო შეჯიბრება საავტომობილო რალში. ღონისძიება ოფიციალურადაა დამტკიცებული საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის FIA-ს მიერ და შესულია მის კალენდარში.

ღონისძიების უშუალო ორგანიზატორია საქართველოს საავტომობილო ფედერაცია. გენერალური სპონსორია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის სავაჭრო კომპანია „შევრონი“. „კავკასიის თასისა“ — კომპანია „ტრანს ექსპრესი“.

„შევრონი — რალი საქართველო 2002“-ის სტატუსი საერთაშორისოა და ევროპის ჩემპიონატის კანდიდატი ღონისძიებაა. შეჯიბრებას დაესწრება FIA-ს ოფიციალური წარმომადგენელი.

რალის მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარების მიზნით შექმნილია სამთავრობო კომისია, რომელშიც შედიან უშიშროების, თავდაცვის, ტრანსპორტის, საავტომობილო გზების, კავშირგაბმულობის სამინისტროები, საქტელერადიო მაუწყებლობის, სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ტრასის საერთო სიგრძე 545 კილომეტრს აღწევს, სპეცმონაკვეთების სიგრძე კი 212 კმ-ია.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 16 ქართველი ავტომრბოლი. მათ გარდა ისპარეზებენ მრბოლები რუსეთიდან, სომხეთიდან, ბულგარეთიდან, იტალიიდან და ავსტრიიდან.

ლაშა გოგია

## საქართველო - რუსეთი განახლებული ნაკრებით და იმედით!

ხვალინდელ დღეს ფეხბურთის გულშემატკივართა მთელი ყურადღება მიპყრობილი იქნება „ლოკომოტივის“ სტადიონისკენ, სადაც ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრები რუსეთის ნაკრებს უმასპინძლებს.



ხვალინდელი შეხვედრა უდიდეს მნიშვნელობას იძენს. პირველ შესარჩევ მატჩში შვეიცარიის ნაკრებთან განცდილი კრახის შემდეგ, საქართველოს ნაკრებს უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს. ჩივაძის გუნდს მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროება, თუმცა ყველას კარგად ესმის, რომ ეს ერთობ ძნელი საქმეა, მით უმეტეს, რომ ვალერი გაზაევის რეფორმირებული რუსეთის ნაკრები დღეს საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენს, რაც კარგად გამოჩნდა ერთი თვის წინ, როცა რუსებმა ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში დამაჯერებლად დაამარცხეს (4-2) ჯგუფის ფავორიტად აღიარებული ირლანდიის ნაკრები.

ვალერი გაზაევს და მის შეგირდებსაც კარგად ესმით, რომ თბილისურ ბრძოლაში მათთვის ძნელი იქნება წარმატების მიღწევა, რადგან ქართველი ფეხბურთელები გამარჯვების დაუოკებელი ჟინით ითამაშებენ, რათა შვეიცარიული ფიასკოს შემდეგ დაკარგული იმიჯი და გულშემატკივარი დაიბრუნონ.



უნდა ითქვას, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირს ერთი ხანობა 12 ოქტომბრის მატჩის თბილისიდან სხვა ადგილზე გადატანა სურდათ, მოიმიზეზეს რა, საქართველოსა და რუსეთს შორის ბოლო პერიოდში ურთიერთობაში დაძაბულობის ზრდა, თუმცა, მალევე ჩვენი მეზობლები მიხვდნენ, რომ მათ მოთხოვნას უეფასადმი მატჩის გადატანის თაობაზე დამაჯერებელი და არგუმენტირებული სახე არ ექნებოდა და აი, რატომ: ჯერ ერთი, ზემოაღნიშნული დაძაბულობა ისევ რუსეთის პოლიტიკური ულტიმატუმებიდან გამომდინარეობს, მეორე — ქართულმა მხარემ აიღო პასუხისმგებლობა, რომ საქართველო — რუსეთის მატჩი მშვიდ ვითარებაში ჩატარდება და, მესამე — რამდენიმე წლის წინ, საქართველოში უფრო დაძაბული ვითარებაც ყოფილა, მაგრამ თბილისში ჩამოსულან გერმანიისა და ინგლისის ნაკრები გუნდები.

რუსეთის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვა-

იხ. მე-4 გვ.

### სტუმრები თბილისში არიან

*რუსეთის ძირითადმა და ახალგაზრდულმა ნაკრებებმა თბილისში ჩამოსვლა, ასე ვთქვათ, უშუალოდ მატჩის წინ გადაწყვიტეს. ახალგაზრდული გუნდი გუშინ შუადღისას ჩამოფრინდა და ივარჯიშა კიდეც ეროვნულ სტადიონზე, სადაც დღეს ქართველ თანატოლებთან გამართავენ მატჩს 16 საათზე.*

*ძირითადი ნაკრები „შერატონ მეტეხ-პალასში“ დაბინავდა. დღეს 19-დან 20 საათამდე სტუმრები „ლოკომოტივის“ სტადიონზე ივარჯიშებენ, ხვალ, მატჩის დღეს კი, 12 საათზე მსუბუქ ვარჯიშს ჩაატარებს ასკ-ს სტადიონზე, მატჩი კი 20 საათზე დაიწყება „ლოკომოტივის“ სტადიონზე.*

## შოთა არველაძე: „უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რაც შეგვიძლია“



მომავალ მატჩთან დაკავშირებით, რუსულ პრესაში იმატა სტატიებმა ქართულ ფეხბურთზე, აგრეთვე ინტერვიუებმა საქართველოს ნაკრების წევრებთან. გთავაზობთ ინტერვიუს შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსის“ ქართველ ფორვარდთან შოთა არველაძესთან, რომელიც მან „სპორტ ექსპრესს“ მისცა.

— ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რათა საქართველო — რუსეთის მატჩმა პოლიტიკური ელფერი არ მიიღოს, — ამბობს შოთა არველაძე.

● ***რით შეუძლია საქართველოს ნაკრებმა რუსეთს აჯობოს?***

— აკი ვთქვი, უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რაც შეგვიძლია, თუ რა შეგვიძლია, ეს 12 ოქტომბერს გამოჩნდება. რუსეთის ნაკრები ნამდვილად არ არის ისეთი ძლიერი გუნდი ევროპაში, რომ მისი დამარცხება არ შეგვეძლოს. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ მიზნის მისაღწევად. იმედი მაქვს, რომ საქართველო — რუსეთის ნაკრებთა თამაშზე, „ლოკომოტივის“ სტადიონზე ნემსის ჩასავარდნის ადგილი არ იქნება და გულშემატკივრობას გაგვიწევენ ისე, როგორც ეს ხდებოდა ძველად... 80-იან წლებში.

## პრესკონფერენცია ფეტისოვთან

12 ოქტომბერს, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში გაიმართება შეხვედრა-პრესკონფერენცია, რუსეთის ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარესთან ვიაჩესლავ ფეტისოვთან.

ჟურნალისტთა აკრედიტაციისათვის დარეკეთ: 899.50-62-43 (პრესცენტრი); 23-50-06. რეგისტრაცია 13 საათზე.

**თბილისში** დასრულდა ევროპის საკლუბო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს მინიფეხბურთის გუნდი „იბერია 2002“. მათ გარდა, შეჯიბრებაში გამოდიოდნენ „ფრეიშეირო“ (პორტუგალია), „სტალი“ (რუსეთი), „ოლიმპი“ (ლატვია). ფინალურ ეტაპზე რუსეთის ჩემპიონი, ნორილსკის „სტალი“ გავიდა.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტალი | 3 | 2 | 1 | 0 | 18-6 | 7 |
| ფრეიშეირო | 3 | 2 | 0 | 1 | 9-7 | 6 |
| იბერია | 3 | 1 | 1 | 1 | 10-9 | 4 |
| ოლიმპი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-16 | 0 |



ფოტო თ. ბაგოიანისა

## ერთი ნაბიჯი მსოფლიო თასის გათამაშების ფინალამდე

მთელი თბილისი საქართველო — რუსეთის ხვალინდელი მატჩით ცხოვრობს, მაგრამ იმედია, არავის დავიწყებია, რომ კვირას, საქართველოს კიდევ ერთი უაღრესად საპასუხისმგებლო მატჩი ელის რუსებთან, ამჯერად რაგბიში. დიახ, „ბორჯღალოსანთა“ და რუსი „დათვების“ 13 ოქტომბრის მატჩში გაირკვევა რაგბიში მსოფლიო თასის 2003 წლის გათამაშების ფინალური ეტაპის მეორე საგზურის ბედი, — მეორე იმიტომ, რომ ჯგუფში პირველი საგზურის მფლობელის ვინაობა უკვე დიდი ხანია ცნობილია, — ყველამ კარგად იცოდა, რომ აშკარა ფავორიტს — ირლანდიის ნაკრებს ვერც ქართველები და ვერც რუსები წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ, აქედან გამომდინარე, მეორე ადგილის ბედი სწორედ მეზობელთა ჭიდილში გაირკვევა. „ბორჯღალოსნებს“ ფრეც არ აძლევთ ხელს. ვინაიდან, ამ შემთხვევაში ბურთების უკეთესი სხვაობა ექნებათ რუსებს, რომლებიც ირლანდიელებთან ანგარიშის უფრო ნაკლები სხვაობით დამარცხდნენ...

ქართველი მორაგბეები რუსებთან რიგით მეექვსე შეხვედრას ატარებენ. პირველად ისინი 1993 წლის 25 მაისს, მსოფლიო თასის შესარჩევ შეხვედრაში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. რუსები მასპინძლის როლში გამოდიოდნენ და მათ გაიმარჯვეს 15:9.

3 წლის შემდეგ, ამჯერად ფირა-ს პირველობაზე „ბორჯღალოსნებმა“ შინ დაამარცხეს მეზობლები 29:20.

მესამე მატჩი ისევ მსოფლიო თასის გათამაშების შესარჩევ ეტაპს წარმოადგენდა: 1998 წლის 20 მაისს ქართველებმა თბილისში მოუგეს მეტოქეს 12:6.

ამის შემდეგ ქართველები და რუსები ორჯერ წარსდგნენ ერთმანეთის პირისპირ ევროპის ერთა თასის გათამაშებაში. 2001 წლის 4 მარტს „ბორჯღალოსნებმა“ სტუმრად გაიმარჯვეს 25:23, ხოლო წელს, გაზაფხულზე, მათი შეხვედრა ფრედ დასრულდა — 12:12.

ბოლო პერიოდში, რუსეთის ნაკრები საკმაოდ გაძლიერდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ გუნდის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა სამხრეთაფრიკელი ჯეიმს შტოფბერგი. ამ უკანასკნელის დებიუტი აღნიშნულ პოსტზე სწორედ ირლანდიელებთან მატჩში შედგა. საინტერესოა, რომ რუსებმა მსოფლიო თასის გათამაშების საკვალიფიკაციო ეტაპის წინ თავიანთი გუნდის გაძლიერების მეტად „ორიგინალურ“ ხერხს მიმართეს: „დათვების“ შემადგენლობაში აღმოჩნდნენ სამხრეთაფრიკელი მორაგბეები! სრუ-

იხ. მე-3 გვ.

# წარმატებას ვუსურვებთ ქართველ ფეხბურთელებსა და მორაგბეებს!

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 10 თვე დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 4 თვე გვაშორებს

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება:

2002 წლის 1 ოქტომბერი ქ. თბილისი

**არსენ მეკოკიშვილის, რომან რურუას, გალინა შარაბიძე-მინაიჩევასა და ლევან სანაძის საქართველოს ორდენებით დაჯილდოების შესახებ**

ოლიმპიურ თამაშებზე მაღალი სპორტული შედეგების მიღწევისას გამოვლენილი მამაცობისა და თავდადებისათვის, ოლიმპიზმის იდეების პოპულარიზაციასა და ქართული სპორტის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებით:

**ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით:**

**არსენ მეკოკიშვილი** — ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ჭიდაობაში. სპორტის დამსახურებული ოსტატი (სიკვდილის შემდეგ); **რომან რურუა** — ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და პრიზიორი ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი; **გალინა შარაბიძე-მინაიჩევა** — ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონი ტანვარჯიშში, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით:**

**ლევან სანაძე** — ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი მძლეოსნობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი (სიკვდილის შემდეგ).

ედუარდ შევარდნაძე

ცხენოსნობა **ბაქოს პირველი საერთაშორისო კომერციული ტურნირი**

## მერანი იყოს, მხედარი გამოჩნდება...

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ცხენოსნობა საქართველოში არ ჩაკვდება. ჩვენი აზრით, ამის გარანტიას იძლევა ორი გარემოება: პირველი — გაჩნდა კერძომესაკუთრული ინტერესი და ჩვენში საკმაოდ მომრავლდა საკუთარი ცხენები, მეორე — რაკი დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, თავისუფლად მოქმედების სრული შესაძლებლობა გაგვაჩნია, ანუ გვეძლევა შანსი ვიასპარეზოთ ნებისმიერ შეჯიბრებაში, ვიბრძოლოთ ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოსაპოვებლადაც კი. ნებისმიერი შეჯიბრება რომ ვახსენეთ, საერთაშორისო კომერციული ტურნირებიც ვიგულისხმეთ, რომელთა რიცხვი ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი აღარ არის. აგერ კავკასიაშიც გაჩნდა ასეთი ასპარეზობა და მისი თაოსანია ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი.

ვერ ვიტყვით, რომ აზერბაიჯანს საქართველოზე უკეთესი საცხენოსნო ტრადიციები გააჩნია, საბჭოთა ეპოქაშიც ჩვენზე წინ იყვნენო — არც ეს ითქმის. მაგრამ ახლა ვითარება იქ



ერთბაშად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სათავეში ქვეყნის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევის ვაჟიშვილი მოვიდა, საერთოდ, გაუმჯობესდა დამოკიდებულება ოლიმპიური სპორტისადმი და მათ შორის ცხენოსნობისადმი. სპორტის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, პოპულარობა ცხენოსნობაში მხოლოდ სპორტსმენზე არაა დამოკიდებული. უფრო მთავარია კარგი ტაიჭი. მერანი იყოს, მხედარი გამოჩნდება! სწორედ ამიტომ, აზერბაიჯანელებმა ბელგიაში 40 ათას ევროდ შეიძინეს საუკეთესო ცხენი, ევროპიდანვე ჩამოიტანეს საჯიშე სპერმა ხელოვნურად განაყოფიერებისათვის, იყიდეს საუკეთესო ცხენმზიდიც, რომლითაც შორეულ ქვეყანაშიც კი კომფორტაბელურად შეიძლება ოთხფეხა მეგობრების გადაყვანა.

რაკი საუკეთესო მერანი შეიძინეს და წარმატების, ანუ შინ თავის შერცხვენის საშიშროება აღარ იყო, აზერბაიჯანელებმა პირველი კომერციული ტურნირის ჩატარების უფლება გამოითხოვეს საერთაშორისო ფედერაციიდან. ეს შეჯიბრება ამ დღეებში გაიმართა ბაქოში აზერბაიჯანის, რუსეთის, საქართველოსა და მოლდოვას ცხენოსნების მონაწილეობით. ტურნირი მიეძღვნა აზერბაიჯანის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 10 წლისთავს და იმავდროულად გაზეთ „გიუნაის" პრიზიც გათამაშდა.

საქართველოში უკვე არის იმის შესაძლებლობა, რომ სასპარეზოდ გასაგზავნად ახალგაზრდა მერნებიც გამოინახოს და 5 წელს გადაცილებულებიც. ბაქოში ჩვენებიდან ორივე ასაკის 3-3 ცხენი და მათი მხედრები გამოვიდნენ სარბიელზე დაბრკოლებათა გადალახვაში.

ახალგაზრდა ცხენებით შეჯიბრებაში ჩინებულად იასპარეზა ბაქოელმა ემინ



ზურაბ ჰინჭარაძე

ხიდიროვმა, რომელმაც უშეცდომოდ გაიარა მთელი დისტანცია. პირველობისათვის მას 1500 აშშ დოლარი გადაეცა, მეორე ადგილზე 4 საჯარიმო ქულით გავიდა თბილისის იპოდრომის „ჟოკეი-კლუბის" წევრი ზურაბ ჰინჭარაძე, მესამე იყო მისივე თანაგუნდელი ცოტნე ლაბაშია. საგულისხმოა, რომ ორივე ჩვენმა მხედარმა 4-4 საჯარიმო ქულა მიიღო და მეორე პრიზიორი მხოლოდ საკონტროლო დროის მცირე სხვაობამ გამოავლინა. ჰინჭარაძემ და ლაბაშიამ შესაბამისად 1000 და 500 აშშ დოლარი მიიღეს, რაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ საქართველოდან გამგზავრებულ გუნდს გაწეული საკუთარი ხარჯები აენაზღაურებინა.

ტურნირი კი აფხაზეთისა და საქართველოს საცხენოსნო სკოლის ღირსეული წარმომადგენლის, ბოლო წლებში რუსეთში, კერძოდ, როსტოვში მცხოვრები ოჩამჩირელი ხარლამ სიმონიას ტრიუმფით დასრულდა. მან უფროსი ასაკით ცხენებით ორ გიტად ასპარეზობაში, თავისი მერნის „კასიუს კლეის" წყალობით, მხოლოდ სამი საჯარიმო ქულა მიიღო და მიუწვდომელი გახდა მეტოქეთათვის. ამ გამარჯვებისთვის უკვე 50 წელს მიღწეულმა სიმონიამ „ჟიგულის" მარკის ახალთახალი „2106" მსუბუქი ავტომანქანა დაიმსახურა, მეორე იყო მისივე შეგირდი, ასევე როსტოველი ვლადიმერ გირინი, რომელსაც ჯილდოდ 2000 დოლარი ხვდა, მესამე ადგილზე კი ახალგაზრდა ცხენებით ასპარეზობაში გამარჯვებული ხიდიროვი გავიდა, რომელსაც 1500 დოლარი გადაეცა. აქვე დავძენთ, რომ აზერბაიჯანელმა მხედარმა საპრიზო ადგილზე გასვლა სწორედ ბელგიაში ნაყიდი ცხენით შეძლო.

როგორც ცნობილია, ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაცია თბილისში ტრადიციულად ატარებს „კავკასიის თასის" გათამაშებას დაბრკოლებათა გადალახვაში. ჩვენი მხედრები გულდასმით ემზადებიან ამ ასპარეზობისთვის თავიანთი მწვრთნელების დახმარებით. აშკარაა, რომ წლევანდელი ტურნირი ძალზე დაძაბული იქნება, რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, აზერბაიჯანმა უკვე სერიოზული განაცხადი გააკეთა...

თ. თომაშვილი

## საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და ოლიმპიურმა ფონდმა ყველაფერი გააკეთა ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის 50-წლისთავის ღირსეულად აღსანიშნავად — სეოკის შენობაზე გაკეთდა პირველ ოლიმპიურ ჩემპიონთა დაფა, ყველა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებისა და პრიზიორების სტენდები, ახალი ექსპოზიციით შეივსო ოლიმპიური მუზეუმი. პირველ ოლიმპიურ ჩემპიონებს და პრიზიორებს გაეწიათ მატერიალური დახმარება, გამოიცა ოლიმპიური ლიტერატურა და ა.შ.






ბადრი ხასაია, მისი მწვრთნელი დათო დავითაია და შენგელი ფიცხელაური ოლიმპიურ მუზეუმში



მარცხნიდან: გალინა შარაბიძე, ივანე ოგანოვი (მზია ჯუღელის მწვრთნელი) და მზია ჯუღელი




მზია ჯუღელი ინტერვიუს აძლევს „რუსთავი-2"-ს

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №6 (27) ოქტომბერი, 2002 წელი

# ევროპის ჩემპიონატიდან დიდი სპორტული ნადავლით - მსოფლიო ჩემპიონატამდე



## 26-27 ოქტომბერს კი - საქართველოს დიდი ჩემპიონატი

ქართველი კარატისტებისთვის ოქტომბრის თვე ძალზედ დაძაბული გამოდგა. ჩვენი კარატისტების ახალმა წარმატებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ სპორტის ამ სახეობაში ყოველდღიური წინსვლაა, მაგრამ ყველაზე მთავარზეც ალაპარაკდნენ კარატეს ქართველი მესვეურები სპორტის დეპარტამენტთან ერთად - საქართველოში კარატეს ფედერაციების საბოლოო გაერთიანებაზე, საქართველოს კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციაში გაერთიანებაზე, ანარქიის მოსპობაზე. ამაზე უფრო დაწვრილებით ცოტა მოგვიანებით.

აგვისტოს ბოლოს საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ მცირე ნაკრებით დიდი სპორტული ნადავლი იგდო ხელთ - გუნდური მეორე ადგილი, საბოლოო ჯამში 13 მედალი - 5 ოქროს, 5 ვერცხლი და 3 ბრინჯაო. ჩემპიონატის გმირები იყვნენ: ლევან გორელაშვილი, ირაკლი ტყებუჩავა, დავით აბრამიშვილი და დავით ტყებუჩავა, ნათია მახარაძე და თათია მელუა. ევროპის მეათე ჩემპიონატზე ვადო-კარატეში ქართველი კარატისტები პოპულარობისა და სიძლიერის მიუხედავად მაინც დაჩაგრეს ირლანდიის ნაკრებთან გუნდურ კუმიტეში და მეორე ადგილი არგუნეს.



ახალი მსოფლიო ჩემპიონებიც გამოჩნდნენ. საქართველოს გოჯუ-რიუ კარატე-დოს ფედერაციამ ინგლისში იასპარეზა მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც 28 ქვეყანის თითქმის ყველა წამყვანი სტილი მონაწილეობდა. გოჯუ-რიუს ფედერაციის პრეზიდენტის პაატა ჭელიძის თქმით შეჯიბრი ძალზედ სერიოზული იყო, სადაც ლევან როგავამ, ნუგზარ კაკულიამ და 10 წლის გიორგი ლაშხმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს. გიორგი ლაშხიც დაჩაგრეს და მეორე ადგილს დასჯერდა ბავშვი. ხოლო ნუგზარ კაკულიამ თავის ასაკში ოქრო მოიპოვა, ვერცხლი კი უფროს ასაკში ერგო.



ახლა კი ყველაზე მთავარი - „ძალა ერთობაშიაო", ამბობენ, რაც სიმართლეა. დაიწყო კიდევ ერთი ეტაპი ქართული კარატეს ცხოვრებაში. საბოლოოდ, იმედია სამუდამოდ, გაერთიანების გზას დაადგა და გაერთიანდება კიდეც. ამ საქმეს სათავეში კახა ბასილია ჩაუდგა, რომელსაც პაატა ჭელიძე, თემურ რამიშვილი, თემურ ჯორჯაძე და სპორტის დეპარტამენტიც დაუდგება მხარში. სირცხვილია, როდესაც კარატეს მიმდევარი ადამიანი იმდენს ვერ ხვდება, რომ ერთად შრომა, ერთად დგომა და ერთად ბრძოლაა საჭირო, როგორც კარატეს გასავითარებლად, ისე საქართველოს მომავლისთვის.

უბრალოდ, ერთ ფაქტს მოვიყვან: ვიდრე კახა ბასილია ჩაუდგებოდა საქართველოს კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციის სათავეში, საქართველოში შეჯიბრებები თითებზე ჩამოსათვლელად ტარდებოდა, წელიწადში რამდენჯერმე. სწორედ ამ პერიოდზე ილაპარაკეს, როგორც დაკარგული დრო გამყინვარება, ჩავარდნა ქართულ კარატეში. პაატა ჭელიძემ სწორედ აღნიშნა, - „დროა ყველა გავერთიანდეთ და ერთად წარმოვადგინოთ საქართველოს სახელი მსოფლიო ასპარეზზე. თითოეული ჩვენგანი საქართველოს პატარა ნაწილია, რომელსაც სურვილი აქვს თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის წარმოსჩენად. ამას კი გაერთიანებული ძალებით უფრო ადვილად შევძლებთ." არ შეიძლება, არ დაეთანხმო. თუმცა აქვე ავღნიშნავ, რომ კახა ბასილიამ ძირითადი ნაწილი უკვე გააერთიანა, საიდანაც უზარმაზარი შედეგი მიიღო.

ახლა ისევ მომავალ სპორტულ ღონისძიებას დავუბრუნდეთ. 15 ოქტომბერს გაერთიანებული ნაკრები, გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატზე



Gammabank

## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია მადლობას უხდის მის საპატიო პრეზიდენტს გიორგი ბარამიძეს, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, ვლადიმერ ხოფერიას და მთლიანად დეპარტამენტს, თბილისის მერიას, გია შერაძეს და, რა თქმა უნდა, „გამაბანკს".

გაემგზავრება, რომლის ორგანიზატორიც მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის შეფინსტრუქტორი, ჰიტოში კასუიაა. ეს მსოფლიო ჩემპიონატი თავისი პრინციპულობითაც გამოირჩევა, სპორტსმენთა მრავალრიცხოვნებით, მაღალი კლასის კარატისტებით და პოპულარობით. მსოფლიო ჩემპიონატის წინასწარ სამზადისს ნაკრები უკვე გადის, რითაც ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია კმაყოფილია და წარმატების იმედიც აქვს.

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ 26-27 ოქტომბერს საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება თბილისში. „აბანოში გამოჩნდება, ვინ რა ვაჟკაციაო" - განაცხადა პაატა ჭელიძემ. ეს „აბანო" კი „ქარიშხალას" სპორტულ კომპლექსში იქნება, სადაც ზოგი თვითონ გაიძრობს ტყავს, რომ ბიჭობა დაამტკიცოს და ზოგსაც გააძრობენ. ეს საქართველოს ჩემპიონატი კახა ბასილიას და პაატა ჭელიძის ერთობლიობით ჩატარდება, რომელსაც ასევე პრინციპული ხასიათი ექნება, ვინაიდან გაერთიანებაზე ლაპარაკის შემდეგ ასეთი დონის შეჯიბრი პირველი იქნება. შეჯიბრის მონაწილეთა ასაკი თითქმის შეუზღუდავია, 50 წლამდე მსურველებსაც შეუძლიათ სცადონ ბედი და შეამოწმონ ქართული ანდაზა - „ბებერი ხარისა, რქანიც ხნავენო". თუმცა ამ ანდაზას შემოწმება არ უნდა, თუ მართლა ხარები გამოვლენ.

მაშ ასე, დაველოდოთ ჯერ მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებს გერმანიიდან და შემდეგ საქართველოს ჩემპიონატს, რომელიც, როგორც ავღნიშნეთ საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარდება.

სოფიკო აბუ თიძე





# უშიშროების სამსახური „დელტა"

## პრეზიდენტი კახა ბასილია



საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი, პოლკოვნიკი;
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი;
მსოფლიოს სამხედრო ორთაბრძოლების აკადემიის აკადემიკოსი;
კავკასიის კაზაკთა კავშირის ატამანის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი;
მსოფლიოს ჩემპიონი კარატე-დოში;
წლების განმავლობაში მუშაობდა სახელმწიფოს პირველი პირების, ბიზნესმენების, პოლიტიკოსების პირად დაცვაში საქართველოსა და უცხოეთში;
მონაწილეობდა ცხელ წერტილებში სპეციალური ოპერაციების განხორციელე-ბაში;
დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით და მედლით მხედრული მამაცობისთვის;
მიღებული აქვს ეკონომისტის და იურისტის განათლება.

### პროფესიონალთა მომზადების სპეციალური სკოლა



სკოლა „დელტა" ახორციელებს კერძო მცველის მომზადებას და გასცემს საერთაშორისო დიპლომს;

სწავლება სკოლაში ხორციელდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, რომელთაც გააჩნიათ ძალოვან სტრუქტურებში მუშაობის დიდი გამოცდილება.

შეისწავლება შემდეგი საგნები:
_ სამართალი;
_ სპეციალური მომზადება;
_ ტექნიკური მომზადება;
_ საცეცხლე მომზადება;
_ ფიზიკური მომზადება;
_ ხელჩართული ბრძოლა;
_ ფსიქოლოგიური მომზადება;
_ სამედიცინო მომზადება;
_ უცხო ენა;
_ ჩვენთან შეგიძლიათ გაიაროთ 4 და 6 კვირიანი სპეც-კურსები.

სწავლა მიმდინარეობს როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად.

სწავლა ფასიანია

სწავლის საფასური შედგება კურსის მომზადების დონიდან გამომდინარე, 200 ლარიდან ზევით.

### უშიშროების სამსახურის „დელტას" მომსახურება

უშიშროების სამსახური „დელტა" გთავაზობთ შემდეგ შემდეგი სახის დაცვას: კომპანიების ხელმძღვანელების პირადი დაცვა, ბანკების, ორგანიზაციების, საწარმოების ბიზნესმენების და მათი ოჯახის წევრების დაცვა.

ოფისების ობიექტების, ბანკების, სასაწყობო შენობების, მშენებარე ობიექტების, გასართობი კომპლექსების, ქალაქგარე სახლებისა და ობიექტების დაცვა. უშიშროების კომპლექსური მეთოდების დამუშავებით (ბანკების, სახლების, წარმოებების და ა.შ.).

**გამოიყენება სამსახურეობრივი ძაღლები**

მასიური ღონისძიებების, კონცერტების, პრეზენტაციების დაცვა;
ტვირთების გაცილება;
ბანკებისა და სავალუტო პუნქტების დაცვა;
ფიზიკური პირების დაცვა;
დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს;
ოჯახის წევრების ევაკუაცია;
კონფლიქტების განმუხტვა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით;
კომპანიის ხელმძღვანელობის და მისი ოჯახის დაცვა;
კომპანიის ხელმძღვანელების სამგზავრო მარშრუტების დამუშავება უსაფრთხოების მიზნით;
ოპერატიული რეაგირება კლიენტის თხოვნისას და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა, როდესაც კლიენტს პრობლემები აქვს არაფორმალურ დაჯგუფებასთან, ამასთანავე სწრაფი რეაგირების ჯგუფის გასვლა შემთხვევის ადგილზე დღე-ღამის განმავლობაში.

***ჩვენი მისამართია: ქალაქი თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. № 6 ტელ/ფაქსი: 96-31-89***

# საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით. ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89.
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი

空手道

**მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ**

# წარმატებას ვუსურვებთ ქართველ ფეხბურთელებსა და მორაგბეებს!

## ერთი ნაბიჯი მსოფლიო თასის გათამაშების ფინალამდე

პირველი გვერდიდან



ლიად გაუგებარია, რა პრინციპით მოხდა ეს, მაგრამ ცნობილია ის, რომ პიტერსის, ფოლხენკისა და ჰენდრიქსის რუსეთის ეროვნულ გუნდში მოხვედრა შტოფბერგის იდეა იყო. ასე რომ, ქართველებს რუსეთ-სამხრეთ აფრიკის „გაერთიანებულ" გუნდთან მოუწევს თამაში.

შტოფბერგს მიაჩნია, რომ დღეს საქართველოს და რუსეთის მორაგბეთა ნაკრებები ერთი დონისანი არიან. „დათვების" თავკაცის აზრით, 13 ოქტომბერს მისმა გუნდმა უნდა გაიმარჯვოს.

აი, ვინ ჩამოჰყავს შტოფბერგს თბილისში: ოლეგ შუკაილოვი, იგორ ნიკოლაიჩუკი, ვალერი ფედჩენკო, იოჰან ჰენდრიქსი, რენე ფოლხენკი, რაშიდ საგდეევი, ოლეგ აზარენკო (ყველა — „კრასნი იარი"), ვიაჩესლავ ზიკოვი, რომან რომაკი (ორივე — „ენისეი"), ალექსეი ტრავკინი, ალექსანდრ ხროკინი (ორივე — „ვვა"), ვიაჩესლავ გრაჩოვი, სერგეი სერგეევი (ორივე — „მონტობანი", საფრანგეთი), სერგეი შუკინი („სლავა"), მურატ უამბაევი („გრენობლი", საფრანგეთი), იგორ დიმჩენკო, ალექსეი კორობეინიკოვი, პაველ ნოვიკოვი, სერგეი კუზმენკო (ყველა — „ენისეი"), ვლადიმირ სიმონოვი, ვერნერ პიტერსი, ვიქტორ მოტორინი, ალექსეი სერგეევი (ყველა — ვვა), ოლეგ ქუკოვი („ფილი"), კონსტანტინ რაჩკოვი („მონტობანი", საფრანგეთი), სერგეი სუგრობოვი („სლავა"), ალექსანდრ იანიუშკინი („პენზა").

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ეს უკანასკნელი ირლანდიელებთან მატჩის შემდეგ კლოდ სორელის ხელმძღვანელობით შემდეგი შემადგენლობით ემზადება: გოდერძი შველიძე, აქვსენტი გიორგაძე, ლევან ცაბაძე, ვანო ნადირაძე, ვიქტორ დიდებულიძე, დავით ბოლღაშვილი, გიორგი ჩხაიძე, ილია ზედგინიძე, ირაკლი აბუსერიძე, პავლე ჯიმშელაძე, ბადრი ხეხელაშვილი, კახა ალანია, თედო ზიბზიბაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, მევლუდ მთიულიშვილი, ტარიელ რატიანიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, ირაკლი გუნდიშვილი, გუჯა იოვაძე, ვასილ კაცაძე, ოთარ ბარკალაია, გიორგი ელიზბარაშვილი, ზვიად მათიაშვილი, დავით აშვეთია.

კლოდ სორელის აზრით, საქართველოს ნაკრებმა უნდა გაიმარჯვოს. ამასვე ადასტურებენ მისი შეგირდებიც. საქართველოს ნაკრები ხომ ასე ახლოს არასოდეს ყოფილა მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპამდე, სადაც მოხვედრა ნებისმიერი გუნდისათვის დიდი პატივია.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „ბორჯღალოსნები" შეძლებენ გამარჯვების მოპოვებას და მსოფლიო რაგბის ელიტის კარის შეღებას!

**მიმომხილველი**

## მილოცვა ელდარ კურტანიძეს

გულრიფშის რაიონის სოფ. ფშავიდან დევნილი ქალბატონი ნელი ცაავა — გვაზავა, რედაქციაში გვეწვია და გვთხოვა „ლელოში" გამოგვექვეყნებინა მისი ლექსი და წერილი, რომელსაც ავტორი ასევე აფხაზეთიდან დევნილს, დღეს უკვე მსოფლიო ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში ელდარ კურტანიძეს უძღვნის.

გთავაზობთ შემოთავაზებული მილოცვის მოკლე, საგაზეთო ვარიანტს.

„შვილო ელდარ! გაუბედურებულ ქალს, რომელსაც მეუღლე, შვილი და სიძე მომიკლეს აფხაზებმა, აბა რა გამახარებს, მაგრამ შენ რომ მსოფლიო ჩემპიონი გახდი, იმ ღამეს სიხარულით არ მეძინა. გამეხარდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი უმცროსი ქალიშვილის ნანას ძუძუმტე ხარ, არამედ უფრო იმიტომ, რომ აფხაზეთიდან დევნილ ქართველობას შენი გამარჯვებით რწმენა და იმედი ჩაუსახე. მადლობა შენს მწვრთნელებს შოთა კიკაბიძეს და გია გალდავას თქვენზე გაწეული ამაგისთვის. ვუსურვებ კიდევ აღეზარდოთ შენნაირი ჩემპიონები.

ჩემს ხელში, სოფელ ფშაფში შვილივით გაზრდილო და საყვარელო ელდარ! მეც და ყველას ერთი ოცნება გვაქვს — ათენში მოიპოვოთ ოლიმპიური ჩემპიონის მაღალი წოდება და შენი ეს გამარჯვება ერთად აღვნიშნოთ აფხაზეთში, ქართულ მიწაზე დაბრუნებულებმა. შენიანებს, შენს მასწავლებლებს, თანაკლასელებს, თანასოფლელებს, სოხუმელებს, აფხაზეთის ქართველობას, მთელ საქართველოს სიამაყე მოგვარა პრესაში გამოქვეყნებულმა შენმა სიტყვებმა: „უბედნიერესი კაცი ვიყავი, როცა ჩემი გამარჯვების საპატივცემლოდ საქართველოს დროშა აღიმართა და ჩვენმა ეროვნულმა ჰიმნმა გაიჟღერა.

ღმერთმა ნუ მოგვაკლოს ამგვარი ბედნიერება ნურც შენ და ნურც ჩვენ, შვილო ელდარ!"

**ნელი ცაავა-გვაზავა.**



ქალბატონი ნელი შვილიშვილთან ერთად

**პრესკონფერენცია**

## სამბისტებს შედეგები არ აკმაყოფილებთ

ტრადიციისამებრ, საერთაშორისო ასპარეზობიდან დაბრუნების შემდეგ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში, პრესკონფერენცია გამართა სამბოს ფედერაციის ხელმძღვანელობამ. როგორც „ლელოს" წინა ნომერში გაუწყეთ, საქართველოს ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრები იუგოსლავიაში გამართულ მსოფლიო პირველობიდან რვა მედლით დაბრუნდა. მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ თქვა: „მიუხედავად იმისა, რომ ბიჭებს ცუდად არ უასპარეზიათ, შედეგი მაინც არადამაკმაყოფილებლად მიმაჩნია". მიზეზიც თავადვე ახსნა. 1997 წლის შემდეგ ჩვენი სამბისტები სამშობლოში პირველად დაბრუნდნენ, როცა მათ რიგებში ოთხ ჩემპიონზე ნაკლებია. აღინიშნა ის ფაქტიც, რომ საქართველოში ფინანსური პრობლემები აფერხებს სპორტის განვითარებას. მთავარმა მწვრთნელმა მადლობა გადაუხადა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ირაკლი მეძმარიაშვილს მხარში ამოდგომისა და სამბისტთა ინტერესების დაცვისათვის.



ზემოხსენებული რვა მედლიდან 7 ჭაბუკთა ნაკრებზე მოდის. ოქროსმედალოსანი გახდა ზესტაფონელი გიორგი კაკოიშვილი (75), მეორე პრიზიორები — თბილისელები რეზო ჩიკოიძე (81), ვლადიმერ სამუშია (87), მესამე პრიზიორი — კასპელი ზურაბ ოდოშაშვილი (48), საგარეჯოელი უშანგი კუზანაშვილი (52), თბილისელი დავით ქოთოლაშვილი (65), და კასპელი კახა მამაცაშვილი (56). ახალგაზრდებიდან კი მხოლოდ ერთ სპორტსმენს ხვდა წარმატება — ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ზესტაფონელმა მძიმეწონოსანმა პაატა ნასრაძემ.

გუნდურ პირველობაში ჩვენს ჭაბუკებს მეორე საპრიზო ადგილი ხვდათ რუსეთის ნაკრების შემდეგ. მესამე იყო უკრაინა, მეოთხე — ყაზახეთი, მეხუთე — მონღოლეთი, მეექვსე — აზერბაიჯანი.

ახალგაზრდებში კი საქართველოს ნაკრები XII ადგილს დასჯერდა. შეგახსენებთ, რომ ჩვენი გუნდები არასრული შემადგენლობით გაემგზავრნენ იუგოსლავიაში.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მადლობა გადაუხადა ზესტაფონის, კასპის, ზუგდიდის და იმ რაიონების ხელმძღვანელებს, ვინც თავიანთი სპორტსმენები დააფინანსეს.

**ლელა ჭანკოტაძე**

## სტუდენტებმა იუბილე აღნიშნეს

9 ოქტომბერს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა სტუდენტ-მოჭადრაკეთა ერთდღიანი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა აკადემიაში ჭადრაკის სპეციალიზაციის არსებობის 25 წლისთავს (მისი ერთ-ერთი დამაარსებელი, დღემდე ხელმძღვანელი და პედაგოგია თენგიზ გიორგაძე).

საუკუნის მეოთხედის მანძილზე უმაღლესი საჭადრაკო განათლება მიიღო 75 ახალგაზრდამ. მათ დიპლომში აღნიშნულია, რომ არიან ფიზკულტურის მასწავლებელი და მწვრთნელი ჭადრაკში. კურსდამთავრების შემდგომ მათგან გახდნენ: საერთაშორისო დიდოსტატები ზურაბ აზმაიფარაშვილი, იგორ ეფიმოვი, გია ბაღათუროვი, ნატო ეძგვერაძე; საერთაშორისო ოსტატები: ინგა ხურციძე ლავა, სოფიო ნიკოლაძე, ბესარიონ ხეცურიანი, ალექსანდრე ყაშაშვილი, დავით შენგელია; ეროვნული ოსტატები: თამარ ფაჩულია, ცირა მერეკლიშვილი, მარიკა ჯაფარიძე, ლელა თანდაშვილი (აგრეთვე საერთაშორისო არბიტრი), გოჩა ტყებუჩავა (აგრეთვე საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი), გოჩა თორია, გიზო ჭურღულია, იოსებ კვირიაშვილი, ამირან ბერძენიშვილი; საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები: აფხაზეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ გელენავა და გიორგი ხომერიკი. მათ მრავალჯერ ასახელეს მშობლიური უმაღლესი სასწავლებელი.

სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ: მეორეკურსელი — საქართველოს 2002 წლის სტუდენტთა უნივერსიადის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი დავით არუთინიანი („მიხეილ ტალი საქართველოში"), მესამეკურსელი — ქეთევან ჯაშიაშვილი („ლეონიდ კუბელი დიდი ეტიუდისტი"), მეოთხეკურსელები — ალეკო ქასრაშვილი („ვასწავლოთ სკოლაში ჭადრაკი"), ლანა ლომაძე („მიხეილ ბოტვინიკი როგორც მოჭადრაკე, მეცნიერი და მწვრთნელი"). მაგისტრატურის მეორეკურსელი — მარიკა ჯაფარიძე („ჰიპერმოდერნისტთა ბრძოლა ჭადრაკის გამრავალფეროვნებისათვის") და 2002 წელს აკადემიის კურსდამთავრებული რუსუდან ჭკუასელი („ღვაწლმოსილი პედაგოგი ვახტანგ ქარსელაძე").

სტუდენტთა მოხსენებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მათ ნაშრომებს მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, დიდოსტატმა ნინო გურიელმა, ვიცე-პრეზიდენტმა, ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა ეტიუდების შედგენაში, კომპოზიციის დიდოსტატმა დავით გურგენიძემ, პროფესორმა დ. ჩიტაშვილმა, დოცენტებმა გ. კახიძემ, გ. დვალმა, შ. ქველიაშვილმა, კ. კახიძემ, ნ. აღდგომელაშვილმა, ოსტატმა ე. მიქაელიანმა და სხვ.

სპორტის აკადემიის პრორექტორმა, პროფესორმა დ. ჩიტაშვილმა თქვა, რომ სტუდენტთა მოხსენებები უახლოეს დროში ცალკე ბროშურად გამოიცემა.

**ჰამლეტ ათაბეგოვი,**
სპორტის აკადემიის სპორტული კლუბის დირექტორი.

## შეგირდების აღზრდის დიდოსტატი

შარშან, ზუსტად ამ ერთი წლის წინათ სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენის" კულტურის სახლში, ი. ხვედელიანის სახელობის კრივის დარბაზი გაიხსნა. დღეს, 11 ოქტომბერს ამ შესანიშნავ დარბაზში კვლავ საზეიმო ატმოსფერო დაისადგურებს — ჩატარდება ამ სპორტული ობიექტის ამუშავების ერთი წლისთავისადმი მიძღვნილი ღია პირველობა კრივში.

კეთილი საქმე არასდროს გაკეთებულა უსიყვარულოდ. ქართულ სპორტს არაერთი ასეთი თავდადებული მუშაკი ჰყოლია დასაბამიდან. ხოლო მათ შორის, დღეს ტრადიციას ვინც აგრძელებს, არის საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი გიორგი ჩიხრაძე, უკვე 70 წელს გადაცილებული ვეტერანი, ახალგაზრდა მოკრივეთა აღმზრდელი, შესანიშნავი პიროვნება და პედაგოგი. ზემოხსენებული დარბაზი სწორედ მისი ენთუზიაზმით ჩადგა მწყობრში, ხოლო ისინი, ვისაც ბოლომდე უნდა მიეყვანათ ეს საქმე, განზე როგორ გადგებოდნენ. ახლა ყველა კმაყოფილია — საავიაციო ქარხნის ხელმძღვანელობაც, ნორჩი მოკრივეებიც და მათი მშობლებიც, რომელთა უმრავლესობა ამ ქარხანაში მუშაობს, რაღა თქმა უნდა, კმაყოფილია თვით ბატონი გიორგი ასე რომ შეიყვარეს თავისმა პატარა შეგირდებმა.

ამ დღეებში რედაქციაში მოგვიტანეს მშობელთა მადლობის წერილები, ზოგი ჩვენს სახელზე იყო, ზოგი ქალაქის მერის ვანო ზოდელავას და ზოგიც თავად მწვრთნელის სახელზე. ყველგან ერთი და იგივე — მადლობა იმ სიკეთისათვის, რაც ამ ხანდაზმულ კაცს მოაქვს მოზარდი თაობისთვის. ერთგან ამოვიკითხეთ: „კრივის დარბაზი მეორე სახლია ჩვენი შვილებისთვის, ბატონი გოგი კი უბრალოდ, ძია ჟორა". და კიდევ: „რაც ბატონ გიორგისთან მეცადინეობს ჩემი შვილი გიგა მიქავა, მთლიანად გამოიცვალა — გახდა მობილიზებული, პუნქტუალური, მოწესრიგებული, ადრინდელისგან განსხვავებით, გამოირჩევა პასუხისმგებლობით, ძლიერი გახდა ფიზიკურად, მინდა ვთქვა, რომ ბავშვს აშკარად ეტყობა კარგი პედაგოგის ხელი და თანატოლთა სასურველი გარემოცვის შედეგი. ყველაფრისათვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ გიორგის" — წერს მშობელი ლია მიქავა.



გიორგი ჩიხრაძე აღსაზრდელებთან

გაივლის წლები, დღევანდელი პატარა ბიჭები დავაჟკაცდებიან და თითოეულს ცხოვრების საგზლად გაჰყვება ძია „ჟორას" ჩანერგილი ადამიანური ღირსებები, სულიერი და ფიზიკური სიმტკიცე, პატრიოტიზმი და, რაღა თქმა უნდა, ცხოვრების ის წესი, რომელიც ოსტატმა გამოკვეთა შეგირდთა სულში.

**ირაკლი სარალიძე**



# წარმატებას ვუსურვებთ ქართველ ფეხბურთელებსა და მოჭიდავეებს!

## საქართველო - რუსეთი

# განახლებული ნაკრებით და იმედით!

(პირველი გვერდიდან)

ლმძღვანელობამ კარგად უწყოდა, რომ მათ გუნდს საფრთხე თბილისში არ ელოდა, მაგრამ მაინც შეეცადა, მატჩის თბილისიდან გადატანა მოეხერხებინა (ისრაელის ვარიანტის „გაჩალიჩებით“), რაც რუსეთის ნაკრებს წარმატების უფრო მეტ შანსს მისცემდა. მაგრამ ბოლოს მიხვდა, რომ ამ ნაბიჯით კიდევ უფრო გაართულებდა ოდესღაც მოძმე სოციალისტური რესპუბლიკების ხალხებს შორის ურთიერთობას. გაზაევისგან განსხვავებით, ახლა ზოგიერთი რუსი თანამდებობის პირის მტკიცება, რომ მათ ასეთი რამ გულში არ გაუვლიათ, ნაგვიანებია, — ეს პოზიცია მაშინ უნდა გამოეხატათ, როცა ეს საჭირო იყო და არა ახლა, როცა სიტუაცია გაირკვა, როცა ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა ერთმანეთს გაუღიმეს...

რაც იყო, იყო. საბჭოთა კავშირის ეპოქაში რუსებს ქართველი ფეხბურთელები ყოველთვის დაუჩაგრავთ (განსაკუთრებით მაშინ, როცა საბჭოთა ნაკრების დაკომპლექტებაზე მიდგებოდა საქმე), მაგრამ ახლა სხვა დროა...

ბევრი ხუმრობს (განსაკუთრებით რუსი სპეციალისტები და ჟურნალისტები) იმაზე, რომ საქართველო — რუსეთის მატჩი პოლიტიკურ ხასიათს ატარებს, მაგრამ გვერწმუნეთ, რუსეთის ნაკრების ნაცვლად, ახლა თბილისში ირლანდიის ნაკრები რომ ჩამოსულიყო, სიტუაცია იგივე იქნებოდა, რადგან წინა მატჩში დამარცხების შემდეგ, საქართველოს ნაკრებს უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს. მეორე მარცხის შემთხვევაში კი გუნდი პრაქტიკულად ეთიშება ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურებისათვის ბრძოლას.

დავუბრუნდეთ ხვალინდელ მატჩს. საქართველოს ნაკრები რუსეთთან მატჩისთვის სრული შემადგენლობით მზადებას სამშაბათიდან შეუდგა. გუნდს დაუბრუნდა გოჩა ჯამარაული, რომლის თამაშის საკითხი მანამდე გაურკვეველი იყო (გოჩას მამა გარდაეცვალა).

ჟურნალისტებთან საუბარში ალექსანდრე ჩივაძემ განაცხადა, რომ თურქეთისა და შვეიცარიის ნაკრებებთან დამარცხებები გუნდმა გულთან ახლოს მიიტანა და შესაბამისი დასკვნებიც გამოიტანაო. საინტერესოა, რომ ერთი თვის წინ ჩვენი ნაკრების თავკაცმა თურქებთან მარცხიდან დასკვნები კი გამოიტანა, მაგრამ, როგორც ჩანს, მისმა შეგირდებმა ცუდად, ან საერთოდ ვერ გაიგეს ოსტატის ნათქვამი. წინა მატჩთან შედარებით, ჩივაძე განსხვავებული შემადგენლობით დაუხვდება რუსთა ნაკრებს. გუნდში აღარ არიან გიორგი ქინქლაძე, გელა შეყილაძე, მიხეილ ყაველაშვილი. მოგვიანებით „გარეთ დარჩენილებს“ მიემატნენ ზაზა ჯანაშია, ედიკ საჯაია, ოთარ ხიზანეიშვილი და რევაზ ქემოკლიძე. ამავე დროს, ჩივაძემ თქვა, რომ ნაკრების კარი ყველასთვის ღიაა, ზემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელები კი მხოლოდ ამ ეტაპზე არ გამოიძახა, ზოგიერთები (საუბარია „ბაზელის კოშმარის გმირებზე“) ამით ჭკუას ისწავლიან... საქართველოს ნაკრებმა თავი შეიკავა აგრეთვე თემურ ქეცბაიას გამოძახებისგან, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი გამოჯანმრთელდა და უეფას თასზე გაიბრწყინა კიდეც.

ჩივაძე თვლის, რომ ვალერი გაზაევის გუნდი შეტევ ფეხბურთს კი თამაშობს, მაგრამ 12 ოქტომბერს მათი ძირითადი აქცენტი დაცვაზე იქნება გამახვილებული. ჩივაძის სიტყვებით, ქართველი ფეხბურთელები ყველაფერს გაიღებენ გამარჯვებისათვის.



მაშ ასე, მთელი საქართველო ხვალინდელ მატჩს იმედის თვალით შეჰყურებს. ქართული ფეხბურთის ისტორიას მრავალი მნიშვნელოვანი მატჩი ახსოვს: გავიხსენოთ ტაშკენტი, გავიხსენოთ დრამატული მატჩები მოსკოვის „სპარტაკთან“, ცსკასთან, მოსკოვის „ტორპედოსთან“, მოსკოვის „დინამოსთან“. გავიხსენოთ რამდენჯერ უსამართლოდ წაგლიჯეს თბილისის „დინამოს“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ოქროს მედლები და თასი, რამდენჯერ დაჩაგრეს ქართული ფეხბურთის ვარსკვლავები, როცა საბჭოთა კავშირის ნაკრების დაკომპლექტებაზე მიდგებოდა საქმე და მიხეილ მესხს, მურთაზ ხურცილავას, დავით ყიფიანს, ვლადიმერ გუცაევს, გავრილოვსა და მისთანებს ამჯობინებდნენ. გავიხსენოთ ყოველივე ეს და შევხედოთ ხვალინდელ, მართლაცდა, „საუკუნის მატჩს“. დადგა დრო, ქართული ფეხბურთის მთელი ისტორიის გადასახედიდან ქართულმა ფეხბურთმა დაამტკიცოს თავისი სიძლიერე და ურყევი სული, დადგა დრო, ჩვენც დავამტკიცოთ, რომ საქართველოში კვლავ უყვართ ფეხბურთი, სხვათა შორის, პოლიტიკაც, მაგრამ არა ორივე ერთად. დადგა დრო, კიდევ ერთხელ დამტკიცდეს, რომ საქართველოში არიან და „კიდევაც დაიზრდებიან“ ისეთი ფეხბურთის ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი...

კარგად გვესმის, რომ საქართველოს ნაკრებს ბევრი რამ აკლია ძლიერ გუნდამდე და ერთ-ერთი ასეთი რამ, როგორც ალექსანდრე ჩივაძემ ახლახან ვარშავაში გამართულ მწვრთნელთა სემინარზე რუდი ფიოლერისა და გიუნეშისაგან გაიგონა — ეროვნული სულია!

იმედია, საქართველოს ნაკრები ხვალინდელ მატჩში თავს არ დაზოგავს წარმატებისათვის, რადგან ქართველ ფეხბურთელებს გულშემატკივრები იმედის თვალით შეჰყურებენ. თვით მოთამაშეებიც აცხადებენ, რომ კარგად ესმით პასუხისმგებლობა და თავდადებით იბრძოლებენ გამარჯვებისთვის.

ღმერთმა გისმინოთ, საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!

თენგიზ ჩობანიძე

# ვალერი გაზაევი: თბილისში ფრე ხელს არ გვაძლევს

**მთელი საქართველო ხვალინდელი მატჩის მოლოდინშია და, ცხადია, „ლელოს“ მკითხველებისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება ინტერვიუ, რომელიც რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა „სპორტ-ექსპრესის“ ჟურნალისტს მისცა.**

● ***რუსეთს ფიფას რეიტინგში 24-ე ადგილი უჭირავს, საქართველოს კი 71-ე. გარდა ამისა, გუნდების დღევანდელ დონესაც თუ გავითვალისწინებთ, ალბათ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რუსეთის ნაკრები ფავორიტია 12 ოქტომბრის თამაშში.***

— რეიტინგის მიხედვით გუნდების სიძლიერის შედარება არ შეიძლება. უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ფავორიტები ვართ, რადგან ჯგუფში პირველ შეხვედრაში ირლანდიელებს მოვუგეთ. 12 ოქტომბერს უმძიმესი მატჩი გველის, რომელსაც პოლიტიკური მოტივიც გააჩნია: ვინ არ იცის, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა თავიანთი სიძლიერე წარმოაჩინონ რუსეთთან მიმართებაში.

● ***ბოლო დროს საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური სიტუაციის დაძაბულობა იმოქმედებს თუ არა ამ ორი ქვეყნის ნაკრებთა შეხვედრაზე?***

— არა მგონია. ფეხბურთი ხომ ქვეყნებსა და ხალხებს აერთიანებს. მე პირადად ამ მატჩს ვუყურებ, როგორც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშს.

● ***თავად განიხილეთ თუ არა საქართველოსთან შეხვედრის გადატანის ვარიანტი?***

— ჩვენი მხრიდან ამდაგვარი წინადადება არ ყოფილა.

● ***ხელს გაძლევთ თუ არა, თბილისური მატჩის ფრედ დამთავრება?***

— არა. წლეულს სამი მატჩიდან ცხრა ქულას ვგეგმავთ.

● ***რას იტყოდით საქართველოს ნაკრების შესახებ?***

— ამ გუნდში ბევრი ძლიერი ფეხბურთელი თამაშობს: კახი კალაძე „მილანიდან“, შოთა არველაძე „რეინჯერსიდან“, ანდა, ავიღოთ თუნდაც ქართველები „ფრაიბურგიდან“. ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. მართალია, საქართველოს ნაკრებს არა აქვს სტაბილური შედეგები, მაგრამ საერთო ჯამში ეს არის ძლიერი და უხერხული გუნდი. არც ის დაგავიწყდეთ, რომ ქართველები დიდი მონდომებით ემზადებიან ჩვენთან სათამაშოდ. გადახედეთ საქართველოს ნაკრების წევრთა ინტერვიუებს — ყველა მათგანი ამბობს, რომ რუსეთთან თამაში მათი ცხოვრების უმთავრესი მატჩია.

● ***ბევრი ქართველი ფეხბურთელი თავის დროზე თქვენი ხელმძღვანელობით თამაშობდა. რას იტყვით მათ შესახებ?***

— მხოლოდ კარგს. ავიღოთ კობიაშვილი — ნამდვილი ლიდერი, ძალიან სტაბილური მოთამაშეა. შარშან მომეცა შესაძლებლობა მისი მონაწილეობით რამდენიმე მატჩი მეხილა ბუნდესლიგაში. კობიაშვილი არა მხოლოდ კაპიტნობდა „ფრაიბურგს“, არამედ ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. რაც შეეხება დემეტრაძეს, არველაძეს და კალაძეს, მათ შესახებ თქვენც არანაკლები ინფორმაცია გაქვთ.

● ***თბილისთან ალბათ ტკბილი მოგონებები გაკავშირებთ...***

— 1985 წელს ვთამაშობდი თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში. ცხადია, თბილისში ბევრი მეგობარი მყავს, რომელთანაც გულთბილი დამოკიდებულება მაქვს.

● ***ალექსანდრე ჩივაძესთან?***

— რა დამავიწყებს, ჩვენ ხომ ერთად ვიცავდით ყოფილი საბჭოთა კავშირის ღირსებას მოსკოვში, ოლიმპიადაზე, როცა ბრინჯაოს მედლები დავისაკუთრეთ. ჩივაძე მოსკოვში ჩამოვიდოდა, თუ მე ჩავდიოდი თბილისში, ყოველთვის ერთმანეთს ვსტუმრობდით. 90-იან წლებში ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობდით. ერთმანეთს ვაწვდიდით ინფორმაციებს ამა თუ იმ მოთამაშეთა მდგომარეობის შესახებ. გარდა ამისა, ვმეგობრობ ვლადიმერ გუცაევთან, მერაბ ჟორდანიასთან. ჩემი მეგობარიც იყო აწ განსვენებული დავით ყიფიანი.

● ***საქართველოსა და რუსეთის ძირითად ნაკრებთა შეხვედრამდე დაგეგმილია ამ ორი ქვეყნის ვეტერან ფეხბურთელთა მატჩი. მასში მონაწილეობის მიღებას ხომ არ აპირებთ?***

— ალბათ, არა. მე ჩემს გუნდთან ერთად ვიქნები.



**შვეიცარია – საქართველოს მატჩს ესწრებოდა ვალერი გაზაევის თანაშემწე ვლადიმერ შევჩიკი, რომელმაც შემდეგნაირად დაახასიათა საქართველოს ნაკრების თამაში.**

— დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე შვეიცარიის ნაკრებმა, — ამბობს შევჩიკი, — საქართველოს ნაკრებს სისწრაფე აკლდა, რაც ალბათ იმით გამოიხატებოდა, რომ ქართველები სტუმრად თამაშობდნენ, თორემ შინ მაღალ ტემპს არჩევენ.

● ***რამ განაპირობა საქართველოს ნაკრების კატასტროფული მარცხი შვეიცარიელებთან?***

— მოწოდების სიმაღლეზე არ იდგა დაცვის ხაზი. როგორც კი შვეიცარიელები სისწრაფეს მოუმატებდნენ, მაშინვე საქართველოს ნაკრების ამ რგოლში დაბნეულობა შეიმჩნეოდა. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ კალაძე იტალიაში ხაზზე თამაშობს, ხოლო ნაკრების სათამაშო სქემა აგებული იყო ლიბეროზე, რომლის ფუნქციასაც ნემსაძე ასრულებდა. მათი დამარცხების მიუხედავად, არც კი გავიფიქროთ, რომ საქართველოს ნაკრები ჩვენთვის იოლი მეტოქეა.

საერთოდ, ქართველებს ყოველთვის ჰყავდათ ფეხბურთის ვარსკვლავები. ავიღოთ თუნდაც ხურცილავა, ძოძუაშვილი, ჩივაძე, სულაქველიძე, ყიფიანი, შენგელია და სხვები. კარგად ვიცნობ ქართულ ფეხბურთს, თავადაც სამწელიწადნახევარი ვთამაშობდი საქართველოში.

## ვლადიმერ ბესჩასტნიხი: „ქართველებს დამარცხების უფლება არა აქვთ“

**ვალერი გაზაევის მიერ რუსეთის ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელთა შორის არის ჩვენი მეზობელი ქვეყნის პირველი გუნდის მოსკოვის „სპარტაკის“ ერთადერთი წარმომადგენელი ვლადიმერ ბესჩასტნიხი, რომელიც ჟურნალისტებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ:**

● ***ირლანდიის ნაკრებთან რუსეთის ნაკრების ბრწყინვალე თამაშმა ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, რომ ბევრის აზრით, გუნდს ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია.***

— ვიმედოვნებ, რომ თბილისური მატჩის შემდეგ გულშემატკივრებს ასეთივე შთაბეჭდილება დარჩებათ.

● ***ქართველები 12 ოქტომბრის მატჩში თავგანწირულ ბრძოლას აპირებენ...***

— ასეც ვიცი. საერთოდ, ქართველებს ახასიათებთ ლამაზი ფეხბურთი. ბრაზილიელებისა არ იყოს, სპორტის ეს სახეობა მათ სისხლში აქვთ გამჯდარი. ისინი უკან არ დაიხევენ. საერთოდ, მე პოლიტიკა არ მაინტერესებს. ქართველები ჩვენი ძმები იყვნენ და ჩვენი ძმები იქნებიან. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ორი გუნდის შეხვედრა, კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის სტაბილიზაციის გზაზე.

● ***ქართველ ფეხბურთელებიდან ვის იცნობთ?***

— ყველაზე ახლოს ვალერი აბრამიძეს, რომელიც ჩემთან ერთად მოსკოვის „სპარტაკში“ გამოდის. ის საკმაოდ ძლიერი მცველია. თუმცა ჩივაძეს ამჟამად არ გამოუძახია ნაკრებში.

● ***საქართველოს ნაკრებმა შვეიცარიის გუნდთან 1-4 წააგო...***

— ანგარიში ყოველთვის არ ასახავს ძალთა ზუსტ თანაფარდობას. საქართველოს ნაკრები ძლიერი მეტოქეა, თბილისში იოლ გასეირნებას არ უნდა ველოდოთ. მით უმეტეს, რომ ქართველებს დამარცხების უფლება არა აქვთ.

● ***როდის ითამაშეთ ქართულ კლუბთან ბოლო მატჩი?***

— თანამეგობრობის თასის გათამაშებაში დავამარცხეთ ქუთაისის „ტორპედო“. ეს იყო ჩვენი გუნდისათვის ყველაზე რთული მატჩი. ვაღიარებ, რომ ბედმა გაგვიღიმა. ისე რამდენიმე წლის წინ ამხანაგური მატჩი ვითამაშე საქართველოს ნაკრების წინააღმდეგაც. თუმცა, საქართველოს ნაკრები დღეს სულ სხვა გუნდია.

## გიორგი დემეტრაძე: „არ მინდა გაზაევი გავაბრაზო, მაგრამ შევეცდები მის გუნდს გოლი გავუტანო“

**ვლადიკავკაზის „ალანიას“ ფორვარდი გიორგი დემეტრაძე რუსეთში მოასპარეზე ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, რომელიც ალექსანდრე ჩივაძემ საქართველოს ნაკრებში გამოიძახა.**

— მთელი ფიქრებით საქართველოს ნაკრების 12 ოქტომბრის მატჩთან ვარ დაკავშირებული, — ამბობს დემეტრაძე, — შვეიცარიელებთან სამარცხვინოდ წავაგეთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ შაბათს ეს არ განმეორდება.

● ***რას იტყვით რუსეთის ნაკრებზე?***

— უდავოდ ძლიერი გუნდია, რაც დაამტკიცა კიდეც ირლანდიის ნაკრებთან მატჩში. ვალერი გაზაევმა მოკლე დროში მართლაც რომ ბევრი რამ შეძლო. გვესმის, რომ რუსეთის ნაკრები ჯგუფის ფავორიტია, ისიც გვესმის, რომ ძნელი ბრძოლა გველის, მაგრამ უკან არ დავიხევთ.

● ***თქვენ სწორედ ვალერი გაზაევმა მიგიწვიათ „ალანიაში“ 1998 წელს...***

— მართალია. მისი გაკვეთილები დიდხანს მემახსოვრება. მადლობელი ვარ მისი. არ მინდა გაზაევი „გავაბრაზო“, მაგრამ მისი გუნდის კარში გოლის გატანას აუცილებლად შევეცდები.

# წარმატებას ვუსურვებთ ქართველ ფეხბურთელებსა და მორაგბეებს!

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## უეფას თასის გათამაშების კენჭისყრა

გაიმართა უეფას თასის გათამაშების მეორე ეტაპის კენჭისყრა. გაგაცნობთ შედეგებს:

ფენერბახჩე (თურქეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
მალაგა (ესპანეთი) — ამიკა (პოლონეთი)
ლაციო (იტალია) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)
იფსვიჩი (ინგლისი) — სლოვანი (ჩეხეთი)
ფერენცვაროში (უნგრეთი) — შტუტგარტი (გერმანია)
ანორთოსისი (კვიპროსი) — ბოავიშტა (პორტუგალია)
დინამო (ხორვატია) — ფულჰემი (ინგლისი)
პარმა (იტალია) — ვისლა (პოლონეთი)
ანდერლეხტი (ბელგია) — მიტდიულანდი (დანია)
სლავია (ჩეხეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია)
აპოელი (კვიპროსი) — ჰერტა (გერმანია)
ალავესი (ესპანეთი) — ბეშიქთაში (თურქეთი)
ლეგია (პოლონეთი) — შალკე (გერმანია)
შტურმი (ავსტრია) — ლევსკი (ბულგარეთი)
პაოკ (საბერძნეთი) — გრასჰოპერი (შვეიცარია)
იურგარდენი (შვედეთი) — ბორდო (საფრანგეთი)
ვიქტორია (ჩეხეთი) — ბეტისი (ესპანეთი)
ლიდსი (ინგლისი) — ჰაპოელი (ისრაელი)
აუსტრია (ავსტრია) — პორტუ (პორტუგალია)
სპარტა (ჩეხეთი) — დენიზლისფორი (თურქეთი)
ნაციონალი (რუმინეთი) — პსჟ (საფრანგეთი)
სელტიკი (შოტლანდია) — ბლექბერნი (ინგლისი)
ვიტესი (ჰოლანდია) — ვერდერი (გერმანია)
სელტა — (ესპანეთი) — ვიკინგი (ნორვეგია)

*შენიშვნა: პირველი მატჩები გაიმართება 31 ოქტომბერს, ხოლო საპასუხო — 14 ნოემბერს.*

## პელე „ფულჰემის" სკაუტად იმუშავებს

ინგლისურ საფეხბურთო კლუბ „ფულჰემის" ხელმძღვანელობას დიდი და ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება გადაუწყვეტია და უკვე თადარიგსაც შესდგომია: ინგლისელებმა გუნდის სკაუტად დანიშნეს... „ფეხბურთის მეფე" პელე. შეთანხმებით, პელეს დაევალება სამხრეთამერიკელ ფეხბურთელების თამაშზე კონტროლი და მოთამაშეთა შერჩევა. დადებული კონტრაქტის პირობებით, ბრაზილიელი კმაყოფილია. მისი სიტყვებით, იგი მოხარული იქნება, თუ ინგლისში მოთამაშე თანამემამულეთა რაოდენობა გაიზრდება.



„ბრაზილიელები თამაშობენ ჰოლანდიაში, ესპანეთში, იტალიაში. აი, ინგლისში კი თითქმის არსად ჩანან. დადგება დრო, როცა „ფულჰემის" შემადგენლობაში ბრაზილიელებიც ითამაშებენ", — თქვა პელემ.



## ბობანი დიდი ფეხბურთიდან გააცილეს

ზაგრებში, შესანიშნავი საფეხბურთო შოუს მოწყობით, დიდი ფეხბურთიდან გააცილეს ხორვატი ვარსკვლავი ზვონიმირ ბობანი. გამოსათხოვარ მატჩებს 40 ათასამდე გულშემატკივარი დაესწრო. თავდაპირველად მოედანზე გამოვიდნენ ზაგრების „დინამო" და „მილანი" (ბობანი ხომ ორივე გუნდის ღირსებას იცავდა). პირველი ტაიმი ზვონიმირმა „დინამოს" შემადგენლობაში ჩაატარა. შესვენებაზე გუნდები რომ გავიდნენ. ანგარიში საყაიმო (1-1) იყო. მეორე ნახევარში კი ბობანი გვერდით ამოუდგა „მილანის" 90-იანი წლების ვარსკვლავებს: დემეტრიო ალბერტინის, დეიან სავიჩევიჩს, პაოლო მალდინის, ფრანკო ბარეზის, ფრანკ რიიკარდს, მარსელ დესაის და სხვებს. ბობანმა ორჯერ აილო „დინამოს" კარი და „მილანმა" გაიმარჯვა 3-1.

მეორე მატჩში ბობანი ხორვატიის ნაკრების ღირსებას იცავდა მსოფლიო ვარსკვლავთა ნაკრების წინააღმდეგ. ამ თამაშში მონაწილეობდნენ გორან ივანიშევიჩი. ჟან პიერ პაპენი, ლეონარდო, რედონდო და სხვები. თამაში დასრულდა 2-1 მსოფლიო ნაკრების სასარგებლოდ.

ვენტუსის" ფორვარდი დავიდ ტრეზეგე, როგორც გასული სეზონის მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე. ტრეზეგეს, რომელსაც ახლახან 25 წელი შეუსრულდა, უკვე აქვს მიღებული ორი ჯილდო: „საუკეთესო ლეგიონერს" და „სეზონის საუკეთესო მოთამაშეს".

პრიზი „საუკეთესო იტალიელი ფეხბურთელი" გადაეცა იტალიის ნაკრებისა და მილანის „ინტერის" თავდამსხმელს კრისტიან ვიერის, საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის პრიზი მიაკუთვნეს 21 წლის მატეო ბრიგის, („პარმა"), საუკეთესო მეკარისა — ჯანლუიჯი ბუფონის („იუვენტუსი"), საუკეთესო მცველისა — ალესანდრო ნესტას, რომელიც წელს „ლაციოდან" „მილანში" გადავიდა.



ტრეზეგე

„მაყურებელთა სიმპათიის" პრიზი მიიღო 35 წლის რობერტო ბაჯომ. არც მსაჯები დავიწყნიათ: ამ პროფესიის ადამიანებში საუკეთესოდ ჯან ლუიჯი კოლინა მიიჩნიეს.

## პიდინკი მზად არის დატოვოს პსვ „ეინდჰოვენი"



სფჰ

ჰოლანდიურ საფეხბურთო კლუბ პსვ „ეინდჰოვენის" მთავარმა მწვრთნელმა გუუს ჰიდინკმა (სურათზე) განაცხადა, რომ მზად არის, დატოვოს დაკავებული თანამდებობა. საქმე ის არის, რომ ბოლო პერიოდში ჰიდინკს ფიზიკური განადგურებით ემუქრებიან.

„ასე მუშაობა აღარ შემიძლია. მემუქრებიან დახვრეტით, თუკი მე გავიმეორებ ჩემს წარმატებათა სერიას პსვ „ეინდჰოვენთან" ერთად" — ამბობს ჰიდინკი. პოლიციამ დაადგინა, რომ პსვ „ეინდჰოვენის" მოწინააღმდეგეები აპირებენ ანგარიშსწორებას ჰიდინკთან.

## ტოტალიზატორის მოყვარულთათვის

12 ოქტომბერს ევროპის 2004 წლის შესარჩევი ეტაპის მეორე ტურის მატჩები ტარდება. გაგაცნობთ ევროპული ტოტალიზატორის „უილიამის" ფსონთა კოეფიციენტებს:

| | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| მოლდოვა — ჩეხეთი | 8,00 | 3,75 | 1,36 |
| ისლანდია — შოტლანდია | 1,80 | 3,10 | 4,00 |
| შვედეთი — უნგრეთი | 1,44 | 3,40 | 7,00 |
| ბულგარეთი — ხორვატია | 2,00 | 3,10 | 3,30 |
| საქართველო — რუსეთი | 4,00 | 3,10 | 1,80 |
| ბელარუსი — ავსტრია | 2,20 | 3,20 | 2,80 |
| ფინეთი — აზერბაიჯანი | 1,14 | 6,00 | 12,00 |
| ლიტვა — ფარერები | 1,44 | 3,75 | 6,00 |
| უკრაინა — საბერძნეთი | 1,80 | 3,10 | 4,00 |

| | | | |
|---|---|---|---|
| მაკედონია — თურქეთი | 5,50 | 3,40 | 1,53 |
| მალტა — ისრაელი | 11,0 | 4,33 | 1,25 |
| პოლონეთი — ლატვია | 1,25 | 4,50 | 10,00 |
| რუმინეთი — ნორვეგია | 1,72 | 3,20 | 4,33 |
| დანია — ლუქსემბურგი | 1,02 | 8,50 | 41,00 |
| სლოვაკეთი — ინგლისი | 6,00 | 3,40 | 1,50 |
| ალბანეთი — შვეიცარია | 4,00 | 3,10 | 1,80 |
| ანდორა — ბელგია | 21,00 | 8,00 | 1,05 |
| საფრანგეთი — სლოვენია | 1,20 | 5,00 | 11,00 |
| იტალია — იუგოსლავია | 1,44 | 3,30 | 7,50 |
| ესპანეთი — ჩრდ. ირლანდია | 1,08 | 7,00 | 17,00 |

## ზიკომ იაპონიაში ვარსკვლავი „აღმოაჩინა"

იაპონიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზიკომ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ თავისი გუნდის ლიდერი „რეჯინას" ნახევარმცველ შინზუკე ნაკამურუა. 16 ოქტომბერს იაპონელები ამხანაგურად გაეჯიბრებიან იამაიკის ნაკრებს. აღნიშნულ შეხვედრაში „ამომავალი მზის ქვეყნის" გუნდში ნაკამურუ მეათე ნომრით ითამაშებს. სხვათა შორის, ამ ნომრით თამაშობდა თვით ზიკოც.

## პორნოვარსკვლავი ოლივერ კანს რჩევას აძლევს...

სახელგანთქმულმა ჩეხმა პორნოვარსკვლავმა დოლ ბასტერმა დამშვიდების „უებარი" წამალი „გამოუწერა" მიუნხენის „ბაიერნის" გოლკიპერს ოლივერ კანს.

ბასტერის აზრით, კანი მატჩების მსვლელობისას ძალიან ნერვიულობს. ის კი არა, ერთ მომენტში ამ უკანასკნელმა კინაღამ დაახრჩო ლევერკუზენის „ბაიერის" ფორვარდი ტომას ბრდარიჩი. ამგვარი ემოციების მოთოკვის მიზნით, პორნოვარსკვლავი ურჩევს კანს, თამაშამდე ხშირად გაერთოს... პასიური სექსით.

## იტალია სეზონის გმირებს ასახელებს

იტალიაში გასულ საფეხბურთო სეზონში ნაჩვენები შედეგის მიხედვით საუკეთესო მოთამაშეები საფეხბურთო „ოსკარით" დააჯილდოვეს. დიახ, „ოსკარი" კინემატოგრაფთა ჯილდოც არის და ფეხბურთელებისაც. საფეხბურთო „ოსკარის" გადაცემის საზეიმო ცერემონიალის მთავარი გმირი გახდა „იუ-

## რონალდო ქალებს გაექცა?

რონალდოს გადასვლა „ინტერიდან" მადრიდის „რეალში" გაქცევას უფრო ჰგავდა. მართალია, ბრაზილიელი ვარსკვლავი აცხადებს, რომ ის კუპერს გაექცა, მაგრამ ბევრი ფიქრობს, რომ რონალდოს მიერ იტალიის დატოვების მიზეზი იყო... ქალები. დიახ, ამის უშუალო მოწმეებიც გამოჩნდნენ. ორიოდე დღის წინ სატელევიზიო ეთერში წარსდგა ორი ქალბატონი, რომლებმაც დაუფარავად განაცხადეს, რომ ბრაზილიელთან სასიყვარულო რომანი ჰქონდათ გაბმული, ერთ-ერთი მათგანი იტალიელი პორნოვარსკვლავი აქჟენი გახლდათ, რომელიც წუხს, რომ მისი რომანი რონალდოსთან ხანმოკლე აღმოჩნდა.

# ბავშვთა ფეხბურთი

## ქართველ და სომეხ თანატოლთა ტურნირი

თბილისის „შევარდენისა" და „ავაზას" სტადიონებმა ამ დღეებში საქართველოსა და სომხეთის მოსწავლე ფეხბურთელთა ამხანაგურ მატჩებს უმასპინძლა. თბილისელთა მეტოქე ორივე ასაკში იყო ერევნის „ნორკ-მარაში". 1988 წლიანებში „შევარდენმა (მწვრთნელი გოგი იაშვილი) 6:3 აჯობა სტუმრებს, „მერანმა" კი ფრედ 2-2 ითამაშა, შემდეგ „ავაზას" სტადიონზე ამ სკოლის მეორე გუნდმა 2-1 მოუგო ერევნელ თანატოლებს.

1986 წლიანთა შორის „შევარდენმა" (მწვრთნელი სოსო კირთაძე) თავის მოედანზე 0-0 ითამაშა იგივე დასახელების სტუმარ გუნდთან, ფრედ 2-2 დაასრულა „მერანთან" შეხვედრაც (მწვრთნელი დათო ჯებისაშვილი). მწვრთნელი ზაზა ჯიქიას ავაზელთა გუნდმა კი 3-2 მოუგო მეტოქეს.

ტურნირის ყველა მონაწილე დაჯილდოვდა სხვადასხვა ფასიანი საჩუქრებით. საფეხბურთო კლუბ „მერანს" გადაწყვეტილი აქვს ამ დღეებში თავისი გუნდი გაგზავნოს ერევანში საპასუხო ტურნირში მონაწილეობისათვის.

*სურათზე: „შევარდენი-88". გუნდთან ერთადაა მწვრთნელი გოგი იაშვილი (მარჯვნივ) და მსაჯი არტურ სააკიანი.*



ფოტო რობერტ გაგოიანისა

## კრესპო: „კარგი იქნება, თუ ბატისტუტა არგენტინის ნაკრებში აღარ დაბრუნდება!"



კრესპო

ბატისტუტა

ყველასათვის მოულოდნელი განცხადებით გამოვიდა მილანის „ინტერის" არგენტინელი ფორვარდი ერნან კრესპო, რომლის სიტყვებით, კარგი იქნება, თუ გაბრიელ ბატისტუტა თავის სიტყვას შეასრულებს და არგენტინის ნაკრებს აღარ დაუბრუნდება. კრესპო, ცხადია, ამას ნაწყენი კაცის პოზიციიდან ამბობს. საქმე ის არის, რომ თუ ბატისტუტას ნაკრებში იწვევენ, „ინტერის" ფორვარდი შეცვლაზეც აღარ გამოჰყავთ. სიტუაცია ამ ორ ფეხბურთელს შორის წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე დაიძაბა, როცა შესარჩევ მატჩებში კარგა ხნის უთამაშებელი ბატისტუტა არგენტინის ნაკრების ძირითადი ფორვარდი გახდა, ხოლო სათადარიგოთა სკამზე იჯდა კრესპო, რომელმაც გასული სეზონი სტაბილურად ჩაატარა.

# წარმატებას ვუსურვებთ ქართველ ფეხბურთელებსა და მორაგბეებს!

## კრამნიკი კომპიუტერს უგებს



დღეს ბაჰრეინის დედაქალაქ მანამა-ში ჩატარდება მეოთხე საჭადრაკო პა-რტია მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს ვლადიმირ კრამნიკსა და პლანეტის ერთ-ერთ საუკეთესო საჭადრაკო კომ-პიუტერ „დიიფ ფრიცს“ შორის. სამი პარტიის შემდეგ ანგარიშია 2,5:0,5 კრამნიკის სასარგებლოდ. ამას არ შე-იძლება სენსაცია ეწოდოს. ვლადიმირ კრამნიკი კომპიუტერთან სამ[illegible]ლად რამდენიმე თვის განმავლობაში ემზადებოდა. სწორედ ამას შეიძლება მიეწეროს მსოფლიო ჩემპიონის არას-ტაბილური თამაში ამას წინათ მოს-კოვში გამართულ „საუკუნის მატჩში“, რომელშიც რუსეთის ნაკრები დამა-რცხდა მსოფლიო ნაკრებთან. უნდა ითქვას, რომ კრამნიკი კარგად მოემზა-და და სწორედ ისეთი სტრატეგია აირჩია, მანქანასთან ბრძოლაში რომ ეფექტური ყოფილიყო.

მატჩის პირველ პარტიაში „რკინის ყუთს“ გამარჯვების შანსი ჰქონდა, მა-გრამ ენდშპილში ვერ შეძლო ძლიერი სვლების მოფიქრება და კრამნიკმა პა-რტიის ყაიმით დასრულება მოახერხა. მსოფლიო ჩემპიონი მიხვდა, რომ კო-მპიუტერს ენდშპილში თამაში უჭი-რდა, ამიტომ მეორე პარტია სწრაფად გადაიყვანა ენდშპილში და არც შემც-დარა. 57-ე სვლაზე „დიიფ ფრიცმა“ თავი დამარცხებულად სცნო. კომპიუ-ტერის სპეციალისტებმა ეს შემთხვევი-თობას მიაწერეს, მაგრამ მესამე პარ-ტიაშიც იგივე განმეორდა. ვლადიმირ კრამნიკმა სწრაფად გაცვალა დედოფალი, პარტია ისევ ენდშპილისკენ წაიყვანა და ისევ მოიგო!

სათამაშო კიდევ ხუთი პარტიაა დარჩენილი, თუმცა მატჩის ორგანიზა-ტორების აზრით, გამარჯვებული უკვე გამოვლენილია, რადგან კრამნიკს ორი ქულაღა სჭირდება...

## იოლიტე ხვიჩიას „მეთოდით“...

**გახსოვთ, ალბათ, შესანიშნავი ქარ-თული მხატვრული ფილმი „ბურთი და მოედანი“, რომლის ერთ-ერთ სიუჟეტში იპოლიტე ხვიჩია სტადიონზე შეღწევის მიზნით, მორბენალ სპორტსმენებს შე-უერთდება... ასეთივე შემთხვევა ოფი-ციალურ შეჯიბრებაში მოხდა. დეტრო-იტში ჩატარდა მარათონი, რომლის დროსაც მესამე ადგილზე გავიდა 40 წლის კენტ ჰოლინგუორტი. ფინიშის ხა-ზის გადაკვეთის შემდეგ, მეოთხე ადგი-ლზე გასულმა ამერიკელმა მაიკ და-დლიმ განაცხადა, რომ ჰოლინგუორტი მარათონში მაშინ ჩაერთო, როცა სხვებს ნახევარი დისტანცია ჰქონდათ გავლი-ლი!**

**„ბევრმა მორბენალმა განაცხადა, რომ ჰოლინგუორტი მოულოდნელად, საიდანღაც შეუერთდა მათ, თუმცა, ამის დამტკიცება ძნელია“, — განაცხადა მა-რათონის დირექტორმა პატრიცა ბოლმა. თვით მესამე პრიზიორი კომენტარისგან თავს იკავებს.**

## ფიბა-ს ჩემპიონთა თასზე



**გაიმართა ფიბას ჩემპიონთა თასის გათამაშების ჩრდილოეთ კონფერენციის მეორე ტურის მატჩები. გაგაცნობთ მათ შედეგებს:**

**A ჯგუფი:** ოპავა (ჩეხეთი) — უნიქსი (რუსეთი) 90:78
ვენსპილსი (ლატვია) — პლანია ბასკეტი (შვედეთი) 119:79
შააულიაი (ლიტვა) — ოსტრუვი (პოლონეთი) 89:81
**B ჯგუფი:** ოდესა (უკრაინა) — კოპენჰაგენი (დანია) 86:83
როკი (ესტონეთი) — ანვილი (პოლონეთი) 51:69
**C ჯგუფი:** სკონტო (ლატვია) — გროდნო (ბელარუსი) 109:84
ალიტა (ლიტვა) — ავტოდორი (რუსეთი) 79:93
მლეკარნა კუნინი (სლოვაკეთი) — სოპოტი (პოლონეთი) 77:105
**D ჯგუფი:** კალევი (ესტონეთი) — ლეტუვოს რიტასი (ლიტვა) 52:76
ბკ კიევი (უკრაინა) — ატომერუ (უნგრეთი) 98:80
ბკ ხიმკი (რუსეთი) — პოლონია (პოლონეთი) 80:89

## უზბეკეთში ბილიარდის თამაში აკრძალეს



უზბეკეთის ხელისუფლებამ ქვეყანაში არსებული მორალური კანონის შესა-ბამისად, აკრძალა ბილიარდის ფედერაცია და მოახდინა სპორტის ამ სახეობის ფედერაციის ლიკვიდაცია. მთავრობის წარმომადგენლების აზრით, ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს ქვეყანაში... კრიმინა-ლური ვითარების გაჯანსაღებას. ადგი-ლობრივმა პოლიციამ უკვე დახურა საბილიარდოები ტაშკენტში.

შეგახსენებთ, რომ ყოფილი საბჭო-თა კავშირის პერიოდშიც აკრძალული იყო გართობა სპორტის აღნიშნული სახეობით. ახლა კი ბილიარდში მსო-ფლიო ჩემპიონატებიც ტარდება.

## იგიტა კოკაინის მიღებაში ამხილეს

**დოპინგი**

კოლუმბიის ნაკრების გოლკიპერს რენე იგიტას ორგანიზმში დოპი-ნგის კვალი აღმოუჩინეს. შეგახსენებთ, რომ იგიტა ბოლო პერიოდში კოლუმბიურ ქალაქ პარეირას „დეპორტივოს“ ღირსებას იცავს.

რენე იგიტამ ფეხბურთის გულშემატკივრებს იმპროვიზაციული თა-მაშითა და საფეხბურთო მოედანზე გრძელი რეიდებით დაამახსოვრა თავი გულშემატკივრებს. მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზე ერთ-ერთ-მა მისმა საკლოუნო ნომერმა „დაასამარა“ კიდეც კოლუმბიის ნაკრები, როცა კამერუნელმა როჟე მილამ კარგად ისარგებლა იგიტას კარიდან გამოსვლით და შორიდან გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

## ინყება ნიაზ ძიაპშიპას ტურნირი

**აფხაზეთისა და საქართველოს ფე-ხბურთის თვალსაჩინო წარმომადგე-ნლის, 1947-1958 წლებში თბილისის „დინამოს“ მცველის ნიაზ ძიაპშიპას სახელობის თასზე, თბილისში, 15-26 ოქტომბერს, საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა და საზოგადოებრივი გაერთიანებების მუშაკთა პროფესიუ-ლი კავშირი ატარებს მინიფეხბურთელთა ტურნირს საქართველოს სამინისტ-როების, დეპარტამენტებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებე-ბის გუნდების მონაწილეობით.**

**ტურნირის დასაწყისი 15 ოქტომბერს, 13 საათზე (დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ: 38-71-62; 38-94-29; 34-77-29.**

საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა
და საზოგადოებრივი გაერთიანებების მუშაკთა პროფესიული კავშირი.

---

**საქართველოს პროფკავშირული საზოგადოება „შევარდენის“ გამგეობა სამძიმარს უცხადებს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, მსოფლიოს ხუთგზისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში ლერი ხაბელოვს მამის გარდაცვალების გამო.**

**ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ბავშვთა/მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სპორტსკოლა და პირადად მისი დირექტორი ელდარ ფარჯანაძე ღრმა სამძიმარს უცხადებენ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, სეოკის ვიცე-პრეზიდენტს, მსოფლიო ხუთგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში ლერი ხაბელოვს მამის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯი სამძიმარს უცხადებს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, სახელოვან ფალავანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ლერი ხაბელოვს მამის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს სპორტის ვეტერანთა საბჭო თანაგრძნობას უცხადებს ლერი ხაბელოვს მამის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა საბჭო უსამძიმრებს ლერი ხაბელოვს მამის გარდაცვალების გამო.**

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




11 ოქტომბერი, პარასკევი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. საქართველოსა და რუსეთის ოლიმპიური ნაკრების შეხვედრა. რეპორტაჟი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონიდან (15.55), *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45), ***НТВ плюс футбол.*** განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (13.20, 19.20), „ფუტბოლ მუნდიალი“ (15.05), ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი (15.35, 17.20, 21.30), ინგლისის (23.15), იტალიის (0.10) ჩემპიონატების მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. ნახევარფინალი (11.45, 20.30), ჭადრაკი, ვ. კრამნიკი. ჩემპიონი კომპიუტერის წინააღმდეგ (13.15), ტაილანდური კრივი (19.15), კიკბოქსინგი (1.35). ***EUROSPORT.*** ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი საგზატკეცილო რბოლაში (13.15, 17.30, 3.15), აერობიკა. მსოფლიო ჩემპიონატი (23.00).

12 ოქტომბერი, შაბათი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი: საქართველო – რუსეთი. რეპორტაჟი თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონიდან (19.55), რუსთავი-2. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (19.00), *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (23.30), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (20.00). ***НТВ плюс футбол.*** განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (13.15), ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი (15.00, 16.45), ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩები: შვედეთი – უნგრეთი (18.55), უკრაინა – საბერძნეთი (20.55), „ფუტბოლ მუნდიალი“ (22.55), ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: სლოვაკეთის ნაკრები – ინგლისის ნაკრები (23.25). ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. ნახევარფინალი (11,45, 18.30), დიდი რინგი (21.30), სუმო. ევროპის ჩემპიონატი (23.30). ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. მატჩი მე-3 ადგილისათვის (2.25). ***EUROSPORT.*** საცხენოსნო სპორტი. ეროვნებათა თასი. „სამსუნგი“ (13.15), ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი საგზატკეცილო რბოლაში (14.15, 17.30), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები (21.30), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი ევრო-2004 (23.30, 2.00).

13 ოქტომბერი, კვირა

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* რაგბი. ერთა თასი. საქართველო – რუსეთი (14.55), *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (23.30), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (11.45), მსოფლიო ფეხბურთი (19.30), ***НТВ плюс футбол.*** ევროპის ჩემპიონატის მატჩი (13.15, 15.00, 16.45), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (19.15, 0.35), ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი (20.10, 22.25). ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. მატჩი მე-3 ადგილისათვის (14.40), ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები. მე-2 საკვალიფიკაციო რაუნდი (20.35), საცხენოსნო სპორტი. დაბრკოლებათა გადალახვა. „ბროლის უნაგირი“ (22.15). ჭადრაკი. ვ. კრამნიკი. ჩემპიონი კომპიუტერის წინააღმდეგ (23.00), სუმო. ევროპის ჩემპიონატი (23.30), ტაილანდური კრივი (1.30), ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. ფინალი. პირდაპირი რეპორტაჟი არგენტინიდან (2.25), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004 (12.00, 22.00), ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი საგზატკეცილო რბოლაში (13.30, 15.30, 3.15).

## კროსვორდი № 79



თარაზულად: 1. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 8. ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალი მშვილდოსნობაში, 9. საუკეთესო მარჯვენა გარემარბი 50-იან წლებში — რუსი ფეხბურთელი, 1956 წლის ჩემპიონი, 11. ვეტერანი ვაჟი ჩოგბურთელი (აშშ), 12. ირლანდიის ნაკრების ფეხბურთელი, 13. ვეტერანი ესპანელი ფეხბურთელი, ფრანსისკო .., 14. საქართველოს ტელევიზიის I არხის დილის პროგრამა. 15. მექსიკის ნაკრების ფეხბურთელი, 18. ვეტერანი ქართველი მორაგბე, 19. თბილისის საფეხბურთო კლუბი, 21. უმაღლესი მიღწევა სპორტში, 22. ქართული ფეხბურთის ლეგენდა.

შვეულად: 1. იტალიელი ფეხბურთელი, პაულო ..., 2. იტალიელი ვეტერანი ფეხბურთელი, მსოფლიო ჩემპიონი, 3. გერმანიის III ბუნდესლიგის გუნდი, 4. სამხედრო შენაერთი, 5. უნგრელი ფეხბურთელი, 1964 წლის ოლიმპიური ჩემპიონი. 6. „ატლეტიკოს“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი, 7. ჩემპიონატში გამარჯვებული, 10. გვერდითი მსაჯი ფეხბურთში, 13. კორეის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, 16. რბოლის, შეჯიბრების მონაკვეთი, 17. იტალიის ნაკრების ფეხბურთელი, 20. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელის ფერდინანდის სახელი.

### კროსვორდი №78 პასუხები

1. ტარდელი, 2. ტაისონი, 3. შევჩენკო, 4. ტაიგერი, 5. ჯონსონი, 6. ყოფიანი, 7. კორბუტი, 8. იამანიძე, 9. თედიაშვილი, 10. „მილანი“, 11. ჯორდანი. 12. ჩოჩიშვილი, 13. არახამია, 14. ჩიხლაძე, 15. პეტროვიჩი, 16. ბუბკა, 17. არდილესი, 18. ბორზოვი, 19. სანეევი, 20. კანდელაკი.

## საჭადრაკო ამოცანა

ა. ბრინი, 1987 წ.




შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ლf1 1. ...მh4 2. მ:h3X.
1. ...მf4 2. მ:f3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩიჩილაძე